8.1 ანგარიშსწორების ვალუტა-ლარი;
8.2 ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად;
8.3 საბოლოო ანგარიშსწორება განხორციელდება სამუშაოს დასრულების მიღება-ჩაბარების აქტის (ფორმა 2)-ის წარმოდგენის შემდეგ 15 (თხუთმეტი) საბანკო დღის ვადაში.
8.4 თუ ანგარიშსწორება უნდა შესრულდეს განსაზღვრულ დღეს და ეს დღე ან ანგარიშსწორების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორება შესაძლებელია განხორციელდეს მომდევნო სამუშაო დღეს;
8.5 ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს ხარჯთაღრიცხვა;
8.6 სამუშაოს შესრულების ადგილია ლაღიძის ჭიჭა.

9. ხელშეკრულების შესრულების შესრულება.

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშელრულების პირობების შესრულება ამ მხარემ დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზის შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, აღნისნულ გარემოებებთან დაკავსირებით;
9.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-12 მუხლის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა.

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამუშაოთა დასრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი სამუშაოს ღირებულების 0.3% ოდენობით;
10.2 წინამდებარე ხელშეკრულების 6.3 პუნქტით განსაზღვრული პირობების დარღვევის შემთხვევაში ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო წუნდებული სამუშაოს ღირებულების 0.3% -ის ოდენობით;
10.3 შემსრულებელი ვიდრე არ აანაზღაურებს პირგასამტეხლოს შემსყიდველი უფლებამოსილია დაკავოს აღნისნული თანხა და პირდაპირ მიმართოს ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში;
10.4 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1 შემსყიდველი უფლებამოსილია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება, თუ მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვაშემთხვევებში;
11.2 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე;
11.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს